



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №16

2022 წლის 29 აპრილი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის, 1<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის, მე-4 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-2 მუხლის, ქვეთავი „ამოცანების“ „ა“ პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა თანახმად დანართისა;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №10 განკარგულება;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი

# ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

## 2022 -2023 წლების სამოქმედო გეგმა

### 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმას 2022-2023 წლებისთვის. დოკუმენტი მომზადებულია ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში ეფექტიანი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი აღსრულების მონიტორინგი.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განსაზღვრული გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში შეიმუშავებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას და უზრუნველყოფს მისი შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო თავისი საქმიანობით უზრუნველყოფს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას. მათ შორისაა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ( ე. წ. სტამბოლის კონვენცია), გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ( CEDAW) და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები.

### 2. მეთოდოლოგია

აღნიშნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ.

დოკუმენტზე მუშაობის პროცესში გენდერული საბჭოს ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით განხორციელდა გამოკითხვები და ინტერესებულ მხარეებთან: მოსახლეობასთან (იმდენად რამდენადაც გენდერულ საბჭოს არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, ამ მიზნით გამოყენებულია მოქალაქეებთან ნებისმიერი შეხვედრა ), მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედ

და ყოფილ წევრებთან, ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ შტოსთან, აჭარის რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

შემუშავებული დოკუმენტი „ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა“ წარედგინება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

### 3. სიტუაციური ანალიზი

#### 3.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი ერთეული საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში. მასში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მოიცავს 21 ადმინისტრაციულ ერთეულს. კერძოდ: ქალაქ ქობულეთის, დაბა ოჩხამურის, დაბა ჩაქვის, ალამბრის, აჭყვისთავის, ბობოყვათის, გვარას, დაგვას, ზენითის, კვირიკეს, ლელვას, მუხაესტატეს, საჩინოს, სოფელ ქობულეთის, ქაქუთის, ჩაისუბნის, ციხისძირის, წყავროკას, ჭახათის, ხალას, ხუცუბნის.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილებათა საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და ზედამხედველობას უწევს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 4 წლის ვადით არჩეული 39 დეპუტატისგან.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია არის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ქობულეთის მერია შედგება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეებისა და ათი სამსახურისგან, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

#### 3.2 გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტში

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკას განსაზღვრავს და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კორდინირებულ მუშაობას უზრუნველყოფს, ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სტატუსი, ფუნქციები, უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო ხელს უწყობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნის და განვითარების უზრუნველყოფას, შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხილვასა და დამტკიცებას, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელებას.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ქობულეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი, დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის, გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტაციებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება, შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები და სხვა.

### 3.3 მიმდინარე ტენდენციები და 2019-21 წლების ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შეფასება

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შეფასება განხორციელდა, როგორც მის შესრულების ანგარიშზე დაყრდნობით, ასევე ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვებით. შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის, მნიშვნელობა უკეთაა გააზრებული საჯარო სფეროს წარმომადგენელთა მიერ, თუმცა საჭიროებს მეტ ძალისხმევას ამ მიმართულებით.

2021 წლის ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მნიშვნელოვან მიღწევად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს მიერ 2018 წელს ინიცირებული და შემდგომ წლებში აქტიურად ადვოკატირებული პროექტის „მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა დავით ხახუტაიშვილისა და აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის წამახალისებელი სტიპენდიის“ ინტეგრირებულ ნაწილად ქცევაა. პროექტის მიზანი თავის დროზე, გარდა სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერისა, მისი სახელობითობიდან გამომდინარე, ქალისა და მამაკაცის საზოგადოების წინაშე თანაბარი დამსახურებისა და როლის ხაზგასმას, რაც გენდერული თანასწორობის ძირითად პრინციპებს ეხმაურება. როგორც პროექტის განხორციელების დინამიკამ აჩვენა, სტიპენდიის მიმღებთა რიცხვი გოგონების სასარგებლოდაა, რაც

სტუდენტი გოგონების მხარდაჭერის კუთხით მნიშვნელოვანია. ასევე გენდერული საბჭოს აქტიური ძალისხმევით მუნიციპალიტეტის მერია ძალადობის მსხვერპლთ უზრუნველყოფს საცხოვრებელი ბინის ქირით, თუმცა ჯერჯერობით საბჭოს რეკომენდაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა დამოუკიდებელ პროგრამად იქცეს, ჯერ კიდევ მისაღწევია.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებისას, საანგარიშო პერიოდში გამოწვევად სახელდებოდა შემდეგი საკითხები:

- კოორდინაციის ნაკლებობა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან;
- თანამშრომლობის ნაკლებობა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან;
- თანამშრომლობის ნაკლებობა რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან.

აღსანიშნავია, რომ COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი.

შეფასების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოები წარმატებით თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ცვლიან ინფორმაციას გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული ტენდენცია და მოსახლეობის ცნობიერების ცვლილება გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით, დადებითად ფასდება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების რეალიზაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს შორის, რესპოდენტების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

- ეკონომიკური საჭიროებები და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა;
- მედიის მხრიდან დაბალი ინტერესი გენდერული თანასწორობის, გოგონების და ქალების გაძლიერების საკითხების მიმართ. განსაკუთრებით კი პოზიტიური საკითხების მიმართ;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამებისა და ქვე-პროგრამებში გენდერული თანასწორობის და ზეგავლენის შეფასების ნაკლებობა;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული მონაცემების ნაკლებობა,
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების არარსებობა.

აღნიშნულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით მომზადდა წინამდებარე სამოქმედო გეგმა.

### 3.4 მისია, ხედვა და პრიორიტეტები

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა ინსტიტუციური გაძლიერების გზით, ხელი შეუწყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას, რომლის თითოეულ წევრსაც ექნება თანაბარი შესაძლებლობა განახორციელოს საკუთარი უფლებები და თანაბრად ისარგებლოს სახელმწიფოს არსებული სიკეთეებით.

გენდერული თანასწორობა, როგორც კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულება წარმოადგენს პრიორიტეტს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაძლიერების ზოგადი ხედვისა და კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ადგილობრივ საჭიროებებს, პასუხობს პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემებზე მოთხოვნას, განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის გაძლიერების პრიორიტეტულ მიმართულებებს, უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალურ-ფინანსური რესურსების განაწილებას, წარმოადგენს ჩარჩოს ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, მოიცავს პოლიტიკის აღსრულების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.

2022-2023 წლებისთვის ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისო კოორდინაციის გაძლიერება და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება;
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოების, თანამშრომლობის და ცნობიერების ამაღლების გზით;
3. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;
4. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;
5. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

სოციალური გარდატეხის მიღწევის მიზნით, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ საჯარო მოხელეთა ცოდნის გაღრმავება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მთავარ პრიორიტეტად გასდევს სამოქმედო გეგმას.

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	საქმიანობის ინდიკატორი	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა
<p>1. მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები</p>	<p>1. გაძლიერებულია გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი</p>	<p>1.1.1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში თავი გენდერული საბჭოს შესახებ და გენდერული საბჭოს დებულება მოყვანილია შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფილია საბჭოში საკრებულოს სხვადასხვა ფრაქციის, მერიაში გენდერის საკითხზე პასუხისმგებელი პირის, მერიის შესაბამისი სამსახურების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა</p>	<p>1.1.1.ა. მიღებულია საკრებულოს დადგენილება ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ 1.1.1.ბ. შესულია ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და განსაზღვრულია საბჭოს შექმნის წარმომადგენლობითობა 1.1.1.გ. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები რეგლამენტირებულია 1.1.1.დ. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში, საბჭოს ამოცანების, ფუნქციების და უფლებამოსილებების მუხლში დამატებულია გაეროს უშიშიშორების საბჭოს რეზოლუციის 1325 - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება</p>			<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო</p>		<p>2022 წ.</p>

			ლოკალიზაციის ხელშეწყობის პუნქტი					
		1.1.2. მომზადებულია მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი	1.1.2.ა. დადგენილია საბჭოს მდივნის ფუნქციები 1.1.2.ბ. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი			ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2022 წ.
		1.1.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/ რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნება უზრუნველყოფილია	1.1.3.ა. საკრებულოს ვებ-გვერდზე დამატებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს „ფანჯარა“ 1.1.3.ბ. საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საბჭოს საქმიანობის და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალები, კვლევები, ანალიტიკური მასალები, საბჭოს სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები და ფოტო მასალა			ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2022 წ.



	<p>1.1.4. მუნიციპალიტეტში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად მერისთვის, საკრებულოსათვის, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის მომზადებული და წარდგენილია წინადადებები და რეკომენდაციები</p>	<p>1.1.4.ა. წარდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები 1.1.4.ბ. საკრებულოს, მერის, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გათვალისწინებული წინადადებები და რეკომენდაციები</p>			<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>2022-2023 წწ.</p>
<p>1.2. მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა</p>	<p>1.2.1. მუნიციპალიტეტში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა) იპ-ების საკადრო პოლიტიკაში გათვალისწინებულია გენდერული მიდგომები</p>	<p>1.2.1.ა. შექმნილია საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზა და ხდება მისი პერიოდული განახლება 1.2.1.ბ. შეტანილია ცვლილებები საშტატო ნუსხასა და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში 1.2.1.გ. საკონკურსო კომისიის წევრად განსაზღვრულია გენდერზე პასუხისმგებელი პირი 1.2.1.დ. გამოქვეყნებულია დასაქმებულთა სქესის და თანამდებობრივი</p>			<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ები</p>		<p>2022-2023 წწ.</p>

		ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე					
	1.2.2 გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარი ჩართულობის მიზნით მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია თანაბარი რაოდენობის განსხვავებული სქესის წარმომადგენლებით	1.2.2.ა. მერის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ 1.2.2.ბ. მრჩეველთა საბჭოს სია განახლებულია			ქობულეთის მუნიციპალიტე ტის მერია		2022 წ.
1.3. გენდერული სტატისტიკა დანერგვით	1.3.1. შემუშავებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმები და მეთოდები	1.3.1.ა. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის მოკრებისა და განახლების წესი 1.3.1.ბ. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზაციის წესი 1.3.1.გ. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობისა და გამოყენების ფორმები და მეთოდები			ქობულეთის მუნიციპალიტე ტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტე ტის საკრებულო	საქართვე ლოს სტატისტ იკის ეროვნულ ი სამსახურ ის სტატისტ იკის ბიურო  არასამთა ვრობო ორგანიზა ციები	2022-2023 წწ.
	1.3.2. შექმნილია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან /და მცხოვრები შშმპ პირთა, სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სქესის ნიშნით სეგრეგირებული	1.3.2.ა. შექმნილია სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა გენდერულ ჭრილში 1.3.2.ბ. პერიოდულად ახლდება სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი			ქობულეთის მუნიციპალიტე ტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტე ტის საკრებულო	არასამთა ვრობო ორგანიზა ციები	2022-2023 წწ.

სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, ხდება მისი პერიოდული განახლება	საინფორმაციო ბაზა					
1.3.3. უზრუნველყოფილი ა გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობა	1.3.3.ა. საინფორმაციო ბაზა განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო		2022-2023 წწ.
1.3.4. მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით გაანალიზებულია საინფორმაციო ბაზა საჭიროებების გამოვლენის, გასატარებელი ღონისძიებების და მუნიციპალური პროგრამების შესამუშავებლად	1.3.4.ა. შემუშავებული საინფორმაციო სტრატეგია 1.3.4.ბ. გამოქვეყნებულია ანალიზის ანგარიშები და დასკვნები 1.3.4.გ. გამოვლენილი საჭიროებები ასახულია მუნიციპალურ პროგრამებში			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
1.3.5. მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულია ტრენინგები ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე	1.3.5.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	ადგილობრივი ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლები სათვის გამოყოფილი თანხები	ადგილობრივი ბიუჯეტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.

			დან				
1.4. დანერგილია გენდერული აუდიტი	1.4.1. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მიმართულებების მიხედვით ჩატარებულია გენდერული აუდიტი	1.4.1.ა. გამოქვეყნებულია გენდერული აუდიტის ანგარიში და რეკომენდაციები 1.4.1.ბ. პოლიტიკის დაგეგმვის დროს გენდერული აუდიტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  გენდერული თანასწორობის საბჭო	საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო  აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭო  არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
	1.4.2. მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულია ტრენინგები გენდერული მენისტრინგის საკითხებზე	1.4.2.ა. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა 1.4.2.ბ. ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ კრილში	ადგილობრივი ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლები	ადგილობრივი ბიუჯეტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.

			სათვის გამოყოფილი თანხები დან				
1.5. ჩამოყალიბებულია სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემა	1.5.1. ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემა	1.5.1.ა. მიღებულია გადაწყვეტილება ყველა სამართლებრივი აქტის პროექტების გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით სავალდებულო ექსპერტიზის გავლის შესახებ 1.5.1.ბ. ექსპერტიზა გავლილი სამართლებრივი აქტების პროექტების რაოდენობა			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
1.6. გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება	1.6.1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის ჩატარებულია სპეციალური ტრენინგები გენდერული თანასწორობის, ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გენდერულ მეინსტრიმინგზე, გენდერულ ბიუჯეტირებაზე, გენდერულ	1.6.1.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 1.6.1.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლები სათვის გამოყოფილი თანხები დან	ადგილობრივი ბიუჯეტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.

	სტატისტიკაზე,						
	1.6.2. გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი და გენდერული თანასწორობის საბჭოს რამდენიმე წევრი გადამზადებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ეროვნული რეფერალური მექანიზმების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად	1.6.2.ა. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა  1.6.2.ბ. ტრენინგში მონაწილეთა მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
	1.6.3. მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე	1.6.3.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 1.6.3.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლები სათვის გამოყოფილი თანხებიდან	ადგილობრივი ბიუჯეტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
	1.6.4. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ცნობიერების ასამაღლებლად ჩატარებულია ტრენინგები გენდერული თანასწორობის პრინციპებზე	1.6.4.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა 1.6.4.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლები სათვის	ადგილობრივი ბიუჯეტი	მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.

		გამოყოფილი თანხები დან				
1.6.5. ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გენდერული მგრძობელობის ასამაღლებლად	1.6.5.ა. შეხვედრების რაოდენობა 1.6.5.ბ. შეხვედრებზე განხილული თემები 1.6.5.გ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
1.6.6. ორგანიზებულია საინფორმაციო შეხვედრები თემაზე - ქალთა უფლებები, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა. ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა. სამიზნე ჯგუფებთან: მერის წარმომადგენლები, ბალის პედაგოგები, სკოლის მასწავლებლები, მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები	1.6.6.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა. 1.6.6.ბ. შეხვედრებში მონაწილე პირთა რაოდენობა 1.6.6.გ. სამიზნე ჯგუფების რაოდენობა 1.6.6.დ. შეხვედრების დღის წესრიგი და მასალა			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
1.6.7. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის	1.6.7.ა. საკრებულოსა და მერის მიერ მიღებულ შრომის			ქობულეთის მუნიციპალიტეტის	არასამთავრობო ორგანიზა	2022-2023 წწ.

	<p>ორგანოებს გააჩნიათ თანამშრომლებს შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობის პოლიტიკა</p>	<p>შინაგანაწესში გაწერილია ორგანიზაციის პოლიტიკა თანამშრომლებს შორის დისკრიმინაციის, ნებისმიერი ფორმით ძალადობის და მათ შორის სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის შესახებ; 1.6.7.ბ. ორგანიზაციის თანამშრომლები იცნობენ საქართველოს მთავრობის დადგენილება N200 – საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტს და შესაბამისად ინფორმაცია აქვთ ამავე დოკუმენტის 15-ე მუხლთან დაკავშირებით. 1.6.7.გ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლების 70 %-ს გავლილი აქვს სახალხო დამცველის საიტზე განთავსებული ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო</p>			<p>მერია</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო</p> <p>მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>ციები</p> <p>სახალხო დამცველის აპარატი</p>	
--	--	--	--	--	--	---	--



		ადგილზე“					
1.7. მომზადებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია და მისგან გამომდინარე მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა	1.7.1. მომზადებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია	1.7.1.ა. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია მომზადებულია საბჭოს მიერ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით 1.7.1.ბ. მერიისა და საკრებულოს მიერ განხილული, შეჯერებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
	1.7.2. გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად, მომზადებულია მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა	1.7.2.ა. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2021 წლების შესრულების ანგარიშის და მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიის გათვალისწინებით შემუშავებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის			ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია  ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.

		უზრუნველყოფის 2022-2023 წ.წ. სამოქმედო გეგმა 1.7.2.ბ. ახალ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები					
1.8. ჩამოყალიბებულა და ფუნქციონირებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი	1.8.1. გენდერული თანასწორობის შესახებ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საკრებულოსათვის	1.8.1.ა. ჩატარებულია შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის 1.8.1.ბ. ჩატარებულია შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია ადგილობრივი ა/ო და დაინტერესებული პირებისათვის 1.8.1.გ. საკრებულოს მიერ განხილულია მონიტორინგის შედეგები, დასკვნები და ანგარიში 1.8.1.დ. მონიტორინგის შედეგები, დასკვნები და ანგარიში გამოქვეყნებულია			მუნიციპალიტეტის საკრებულო  მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.
	1.8.2. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში შეტანილია ცვლილებები	1.8.2.ა. განახლებულია სამოქმედო გეგმა			მუნიციპალიტეტის მერია  მუნიციპალიტეტის საკრებულო  გენდერული თანასწორობის	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2022-2023 წწ.

					საბჭო		
	1.8.3. მომზადებულია წინადადებები სამოქმედო გეგმით მომდევნო წლის ღონისძიებების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტში შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის შესახებ. წინადადებები გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში	1.8.3.ა. 2022 და 2023 წ. წ. ადგილობრივ ბიუჯეტში ასახულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება			მუნიციპალიტეტის მერია  მუნიციპალიტეტის საკრებულო		2022-2023 წწ.
